



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030122629662620

№ 01-550/თ

14 / ნოემბერი / 2020 წ.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 და მე-8¹ პუნქტებისა და 199-ე მუხლის, „სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის, საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების შექმნის, ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური ადმინისტრაცია/საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის N45/2020 დადგენილებისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „ო“ და „ქ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 14 ნოემბრის N 01-08/1642 წერილის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ ამომრჩეველთა შესახებ საჭირო ინფორმაციის დროული და ოპერატიული მიწოდების უზრუნველყოფა დაევალოს სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსს - ბექა ფერაძეს.

2. სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსს - ბექა ფერაძეს მიენიჭოს უფლებამოსილება:

ა) სამინისტროს სახელით მოითხოვოს და მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაცია, რომლის მიწოდებაც ევალება სამინისტროს საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და „სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის, საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების შექმნის, ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური ადმინისტრაცია/საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის N45/2020 დადგენილების შესაბამისად;

ბ) გამოიყენოს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებები (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მისამართები: info@moh.gov.ge; election2020@moh.gov.ge) ინფორმაციის დროულად და შეუფერხებლად მიღებისათვის.

3. დაევალოს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ების ხელმძღვანელებს, უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული პროცესების ხელშეწყობა.

4. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 01-513/თ ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



ეკატერინე ტიკარაძე